გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

KA000009782305419

№ 2030 18 / სექტემბერი / 2019 წ. ქ. გურჯაანი

#149 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

გურჯაანის მუნიციპალიტეტსა და შპს-ს "გეო-ტექი" (ს/ნ 427722217) შორის 2019 წლის 24 მაისს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #149. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სოფელ ჩალაუბნში წყაროს წყლის აღდგენის სამუშაოების შესრულება. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 6810 ლარს, სამუშაოს შესრულების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 24 მაისიდან 2019 წლის 23 აგვისტოს ჩათვლით პერიოდი, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2019 წლის პირველ ნოემბრამდე.

2019 წლის 8 აგვისტოს შპს -ს "გეო-ტექი" დირექტორმა ზვიად ბერიძიშვილმა მერიას მომართა განცხადებით. განცხადების თანახმად, სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში აღმოჩნდა, რომ მიწით დაფარული ბეტონის ეკრანი იყო არმირების გარეშე და მიწის მოხსნის შემდეგ დაიშალა. აღნიშნულიდან გამომდინარე კი საჭირო გახდა ახალი რკინა-ბეტონის წყალშემკრების მოწყობა, რისთვისაც აუცილებელი იყო არსებული ხარჯთაღრიცხვის კორექტირება და სამუშაოს მიწოდების ვადის გაზრდა.

ზ. ბერიძიშვილის განცხადების განხილვისა და გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე, მომსახურებისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილი კომისიის 12 აგვისტოს დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, 2019 წლის 16 აგვისტოს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება #1, #149 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ვადა განისაზღვრა 2019 წლის 6 სექტემბრის ჩათვლით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა - 2019 წლის 15 ნოემბრამდე, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.
აგრეთვე, განხილული იქნა შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის კორექტირების საკითხი და გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე, მომსახურებისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილი კომისიის 26 აგვისტოს დასკვნის წარმოდგენის შემდეგ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შეთანხმების შესახებ სახელშეკრულებო თანხიდან გაუსვლელად, 6809,37 ლარის ფარგლებში, რაზედაც 2019 წლის 3 სექტემბერს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება #2.
მიუხედავად მხარეთა მცდელობისა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები შესრულებულიყო, ადგილზე სამუშაოების მიმდინარეობისას კვლავ გამოვლინდა ახალი გარემოება, რამაც წამოჭრა დამატებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების განხორციელების აუცილებლობა, რომელთა შესრულება შეუძლებელია სახელშეკრულებო თანხის ფარგლებში.

აღნიშნულის შესახებ მერიას მომართა ზვიად ბერიძიშვილმა 2019 წლის 4 სექტემბერს განცხადებით. განცხადების თანახმად, კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად უნდა მოეწყოს 13 $მ^3$ რკინა-ბეტონის საყრდენი კედელი, რომელსაც სჭირდება საძირკველი. მისივე განმარტებით, მიუხედავად არაერთი მცდელობისა, საძირკვლის მოწყობა შეუძლებელი აღმოჩნდა, ვინაიდან გრუნტი იწყებს დაშლას და საჭიროა უფრო მეტი მოცულობის სამუშაოების წარმოება, ვიდრე გათვალისწინებულია

კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, ითხოვს #149 ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნას ვადამდე მხარეთა შეთანხმებით.
განცხადებაში მითითებული საკითხი განხილული იქნა გურჯაანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო შესყიდვების შედეგად მიმდინარე მშენებლობებზე, მომსახურეობისა და სხვა სამუშაოების შესრულებაზე ზედამხედველობის უზრუნველყოფის მიზნით მერის 2019 წლის 12 მარტის #435 ბრძანებით შექმნილი კომისიის მიერ და წარმოდგენილი იქნა დასკვნა (05.09.2019წ). დასკვნის თანახმად, სასურველი შედეგის მისაღწევად საჭიროა მასშტაბური სამუშაოების განხორციელება, #149 ხელშეკრულებით გათვალისწინებული 6809,37 ლარის ფარგლებში შესრულებული სამუშაოები კი შედეგს ვერ გამოიღებს, შესაბამისად, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ხელშეკრულების ორმხრივად შეწყვეტა ვადამდე. კომისიის აღნიშნული დასკვნა მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის ფუნქციების დროებით მოვალეობის შემსრულებლის - ბიჭიკო მაისურაძის მიერ 2019 წლის 12 სექტემბრის #13574 მოხსენებითი ბარათით წარედგინა მერს შემდგომი რეაგირებისათვის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ვლინდება, რომ არსებობს ხელშეკრულების ორმხრივად, ვადამდე შეწყვეტის საფუძველი. კერძოდ, ადგილი აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას. აღნიშნული მუხლის თანახმად, თუ ის გარემოებები, რომლებიც ხელშეკრულების დადების საფუძველი გახდა, ხელშეკრულების დადების შემდეგ აშკარად შეიცვალა და მხარეები არ დადებდნენ ამ ხელშეკრულებას ან დადებდნენ სხვა შინაარსით, ეს ცვლილებები რომ გაეთვალისწინებინათ, მაშინ შეიძლება მოთხოვილ იქნეს ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით, ხელშეკრულების მხარეს არ შეიძლება მოეთხოვოს შეუცვლელი ხელშეკრულების მკაცრად დაცვა. გარემოებათა შეცვლას უთანაბრდება, როცა წარმოდგენები, რომლებიც ხელშეკრულების საფუძველი გახდა, არასწორი აღმოჩნდა.
მხარეები ჯერ უნდა შეეცადონ, რომ ხელშეკრულება მიუსადაგონ შეცვლილ გარემოებებს. თუკი შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, ან მეორე მხარე ამას არ ეთანხმება, მაშინ იმ მხარეს, რომლის ინტერესებიც დაირღვა, შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან გამოვლინდა, რომ შეუძლებელია ხელშეკრულების მისადაგება შეცვლილი გარემოებებისადმი, 2019 წლის 24 მაისის #149 ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეწყვეტილი იქნას გურჯაანის მუნიციპალიტეტსა და შპს-ს "გეო-ტექი" (ს/ნ 427722217) შორის 2019 წლის 24 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება #149 ვადამდე, 2019 წლის 17 სექტემბრიდან, მხარეთა შეთანხმებით.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24)

გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

არჩილ ხანდამაშვილი